საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

## მარტი 2026



30.04.2026
www.geostat.ge

30.04.2026

## ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, მარტი 2026

წინასწარი შეფასებით, 2026 წლის მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 10.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 9.1 პროცენტით განისაზღვრა.

### ეკონომიკური ზრდის შეფასება, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2026 წელი (%)




2026 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების, ასევე სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში.

# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.04.2026

## ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

მარტი 2026

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) | 104.3 | 100.8 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (PPI) | 106.5 | 101.5 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები, იანვარი-მარტი 2026 წელი

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 1 723.7 | 23.4 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 4 143.2 | -7.1 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 5 867.0 | 0.2 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2026 წელი

(მლნ. აშშ დოლარი)




**შენიშვნა:** შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.


www.geostat.ge info@geostat.ge

## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები, 2026 წელი

| მაჩვენებელი | მარტი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 6 425 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 2.3 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 15 585.4 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 13.4 |

## დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2026 წელი (%)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

30.04.2026

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2026 წელი
(მლნ.ლარი)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ხარჯები  შემოსავლები

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება*, 2026 წელი
(მლნ. ლარი)




*წინასწარი მონაცემები

**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

კომერციული ბანკები  ეროვნული ბანკი

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge